საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/128

ქ. ბათუმი 05 *აგვისტო, 2019 წ.*

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 37[1]-37[4]-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–13, 62[1]-62[4]-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის *სამსახურში მიღების წესისა* და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე*“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს* 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ,,2019 წლის ივნისში ჩატარებული ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის N06-01/57 დადგენილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წელის 1 აგვისტოდან **2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში** ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის **შრომითი დატვირთვის კატეგორიების** განსაზღვრის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) წინამდებარე ბრძანების გამოცემამდე ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში არსებული ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების გათვალისწინებით, **მომზადდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება 2019 წლის 1 აგვისტოდან** ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრის შესახებ, თანახმად ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებისა;

ბ) 2020-2021 სასწავლო წლიდან ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ბ.1) დამტკიცდეს იმ სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმა **(დანართი N1)**, ვისთვისაც ბსუ არის **ძირითადი სამუშაო ადგილი** სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ.2) დამტკიცდეს იმ სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმა **(დანართი N2),** ვისთვისაც ბსუ არის ძირითადი სამუშაო ადგილი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **<u>და ამავდროულად უკავია</u>** ბსუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა;

ბ.3) დამტკიცდეს იმ სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმა **(დანართი N3),** ვისაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა აქვს არამხოლოდ ბსუ-სთან (გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ბსუ-ში ეწევა ,,გ" კატეგორიის შრომითი დატვირთვის შესაბამის სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას და ამავდროულად დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში);

გ) 2020-2021 სასწავლო წლიდან (არაუგვიანეს 2020 წლის 15 სექტემბრისა) ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი იქნეს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული განაცხადები დანართი N1, N2 ან N3-ის შესაბამისად შევსებული და ხელმოწერილი (ელექტრონულად - ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად, ხოლო დედნები - ამავე ვადაში უნდა წარედგინოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს).

დ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განაცხადები ჩაითვალოს ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად, განთავსდეს მათ პირად საქმეებში და გამოიცეს ბრძანება 2020 წლის 1 ოქტომბრიდან ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრის შესახებ.

2. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი პირის მიმართ განხორციელდეს ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევის სამსახურს და ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 აგვისტოს N01-021/128 ბრძანების
დანართი N1

განცხადება
(ბსუ-სთან აფილირების შესახებ)

---- ----------, ----- წ.

განმცხადებელი - ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბსუ-ში დაკავებელი სამეცნიერო თანამდებობა	

გავეცანი და ვეთანხმები ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებას.

ვაცხადებ, რომ ჩემთვის ბსუ არის **ძირითადი სამუშაო ადგილი, სადაც ვახორციელებ** სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, ვასრულებ შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე გთხოვთ, როგორც ბსუ-სთან აფილირებულ სამეცნიერო თანამდებობის პირს, განმისაზღვროთ **,,ა" კატეგორიის შრომითი დატვირთვა.**

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში ----------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 აგვისტოს N01-02/128 ბრძანების
დანართი N2

განცხადება
(ბსუ-სთან აფილირების შესახებ)

---- ----------, ----- წ.

განმცხადებელი - ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბსუ-ში დაკავებელი სამეცნიერო თანამდებობა	

გავეცანი და ვეთანხმები ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებას.

ვაცხადებ, რომ ჩემთვის ბსუ არის **ძირითადი სამუშაო ადგილი, სადაც ვახორციელებ** სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, ვასრულებ შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს <u>და ამავდროულად მიკავია</u> ბსუ-ს -
---

--------- თანამდებობა (მიუთითეთ შესაბამისი აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა). აქედან გამომდინარე გთხოვთ, როგორც ბსუ-სთან აფილირებულ სამეცნიერო თანამდებობის პირს, განმისაზღვროთ **,,ბ" კატეგორიის შრომითი დატვირთვა.**

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში ----------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 აგვისტოს N04-02/128 ბრძანების
დანართი N3

განცხადება
(შეთავსებით სამუშაოს შესახებ)

---- ----------, ----- წ.

განმცხადებელი - ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბსუ-ში დაკავებელი სამეცნიერო თანამდებობა	

გავეცანი და ვეთანხმები ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებას.

ვაცხადებ, რომ ბსუ-ში ვახორციელებ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, ვასრულებ შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს **და ამავდროულად დასაქმებული ვარ (ან ვაპირებ დავსაქმდე)**----------
---

თანამდებობაზე *(მიუთითეთ შესაბამისი დაწესებულის სრული დასახელება; დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობა; სამუშაო დატვირთვა: კვირის დღეები და სამუშაო საათები).* აქედან გამომდინარე გთხოვთ, როგორც ბსუ-სთან **არააფილირებულ** სამეცნიერო თანამდებობის პირს, განმისაზღვროთ **,,გ" კატეგორიის შრომითი დატვირთვა.**

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში ----------